გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 84

2025 წლის 11 ივლისი
ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრაში სპორტული მოედნისა და სკვერის მიმდებარედ 3 (სამი) ლოკაციაზე „ხელოვნური უსწორმასწორობების“ განთავსების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრაში მცხოვრები მოსახლეობის განცხადება, რომელშიც ითხოვს გორის მუნიციპალიტეტში შემავალ სოფელ სკრაში სპორტული მოედნისა და სკვერის მიმდებარედ 3 (სამი) ლოკაციაზე სიჩქარის შემზღუდველი ხელოვნური უსწორმასწორობის განთავსებას. აღნიშნული საკითხი შეისწავლა გორის მუნიციპალიტეტის მერიამ, საქართველოს შსს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის გორის რაიონულ სამმართველოსთან ერთად და ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილების და ავტოსაგზაო შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით მიზანშეწონილად მიაჩნია მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის დამატებითი ღონისძიების სახით სოფელ სკრაში სპორტული მოედნისა და სკვერის მიმდებარედ, 3 (სამი) ლოკაციაზე განთავსდეს სიჩქარის შემანელებელი ბარიერები გოსტ Р 52 605-2006-ის შესაბამისად, შემდეგი საგზაო ნიშნებთან ერთად:1.18- „ხელოვნური უსწორმასწორობა“; 3.24 „მაქსიმალური სიჩქარის შეზღუდვა 30კმ/ სთ“; 5,20 „ხელოვნური უსწორმასწორობა“

საგზაო უსაფრთხოების დაცვისა და საგზაო შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია სოფელ სკრაში სპორტული მოედნისა და სკვერის მიმდებარედ, 3 (სამი) ლოკაციაზე შესაბამისი საგზაო ნიშნებით, განთავსდეს ზემოაღნიშნული „ხელოვნური უსწორმასწორობები“.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების და „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს:

1. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრაში სპორტული მოედნისა და სკვერის მიმდებარედ 3 (სამი) ლოკაციაზე შესაბამისი საგზაო ნიშნებით, განთავსდეს „ხელოვნური უსწორმასწორობები“.
2. განკარგულების პირველ პუნქტში აღნიშნული „ხელოვნური უსწორმასწორობები“ დამონტაჟდეს ГОСТ Р 52 605-2006-ის განსაზღვრული ნორმების შესაბამისად და დაიდგას შემდეგი საგზაო ნიშნები:
ა) 1.18 „ხელოვნური უსწორმასწორობა“;
ბ) 3.24 „მაქსიმალური სიჩქარის შეზღუდვა“ (30 კმ/სთ);
გ) 5.20 „ხელოვნური უსწორმასწორობა“.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ.№30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე